19/02/2020

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სასულიერო პირებისა და თეოლოგებისგან შემდგარი ლიტურგიკული საკითხების შემსწავლელი საინიციატივო ჯგუფის პირველი შეხვედრა

მცხეთა-თბილისის სამღვდელოების მიერ განსახილველად წარმოდგენილი საკითხები: ნათლობის წინ კატეხიზაციის წესის, ნათლულების რაოდენობისა და ვინაობის, მიცვალებულის წესის აგების სხვა და სხვა გამონაკლისების, ღვთისმსახურების დროს საიდუმლო ლოცვების კითხვის ფორმის, „კონდაკისა“ და „კურთხევანის“ კორექტირებისა და (ხუცურად) კითხვის წესის, ღვთისმსახურებაზე შესაბამისი შესამოსლისა და სხვა პრობლემური და საერთო სისტემით ჩამოსაყალიბებელი თემების შესახებ.

გადაწყდა, რომ დაიწყოს თითოეული საკითხის ზედმიწევნითი შესწავლა როგორც ისტორიულ, ისე სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო

პრაქტიკის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ იგეგმება საინიციატივო ჯგუფის გაფართოება სპეციალისტებისა და სხვა სასულიერო პირების მონაწილეობით.
ჯგუფის მუშაობის დროს წამოჭრილი და შესწავლილი საკითხები ასევე წარედგინება მცხეთა-თბილისის სამღვდელოებას.